საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პიარტექნოლოგიების სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მიღებულია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
5 ივლისი 2019 წ. № 01-05-04/57 დადგენილებით

და დამტკიცებულია უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
მიერ 3 ივლისი 2019 წ. № დადგენილებით
01-06-02/25

თბილისი

2019

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი:

1.1 PR ტექნოლოგიების სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია (შემდგომში „ლაბორატორია“) არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული, საზოგადოებრივი ურთიერთობების დეპარტამენტის სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ერთეული.

1.2 ლაბორატორია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებისა და მოცემული დებულების საფუძველზე.

1.3 ლაბორატორიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავენ და წარმართავენ ფაკულტეტის დეკანატის, საზოგადოებრივი ურთიერთობების დეპარტამენტის და ლაბორატორიის ხელმძღვანელი პირები.

1.4 ლაბორატორიის მისამართია: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. #77ა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის VI სასწავლო კორპუსი;

1.5 ლაბორატორია საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილების მიღებისა და უნივერსიტეტის რექტორის მიერ ბრძანების გამოცემის დღიდან.

მუხლი 2. PR ტექნოლოგიების სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის მიზნები და ამოცანები:

2.1 საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საზოგადოებრივი ურთიერთობების დეპარტამენტის სასწავლო-საგანმანათლებო საქმიანობის სრულყოფა;

2.2 საზოგადოებრივი ურთიერთობების (PR) თეორიული და პრაქტიკული კვლევა-ძიების ხელშეწყობა;

2.3 საზოგადოებრივი ურთიერთობების (PR) სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების ხელშეწყობა კვლევით და პრაქტიკულ საქმიანობაში მათი აქტიური ჩართულობის მეშვეობით;

2.4 ლაბორატორიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საზაფხულო სკოლების პროგრამების შექმნა, დამუშავება და განხორციელება;

2.5 სტუ-ს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთობლივი პარტნიორული პროექტების უზრუნველყოფა;

2.6 ლაბორატორიის ბაზაზე სამეცნიერო-რეფერირებადი ჟურნალის გამოცემა;

2.7 საზოგადოებრივი ურთიერთობების (PR) სფეროში პრაქტიკულ და ლაბორატორიულ საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე ბაკალავრებისა და მაგისტრების მომზადებაში ხელშეწყობა;

2.8 საზოგადოებრივი ურთიერთობების (PR) სფეროში სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების განხორციელება, შემდეგი მიმართულებებით: ბიზნესი, პოლიტიკა, კულტურა, ტურიზმი;

2.9 ლაბორატორიის ბაზაზე განხორციელებული კვლევევის საფუძველზე უახლესი სახელმძღვანელოების შექმნა, საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა მიმართულებით.

2.10 ფაკულტეტის საჭიროებისათვის საზოგადოებრივი ურთიერთობების (PR) პროფილით არსებული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო ბაზის შექმნა;

2.11 საზოგადოებრივი ურთიერთობების (PR) მიმართულებით სასწავლო პროცესში, ტრეინინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღება;

2.12 ადგილობრივ და უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან აქტიური სამეცნიერო კონტაქტების დამყარება.

მუხლი 3. ლაბორატორიის სტრუქტურა:

3.1 ლაბორატორიის საქმიანობა ორი მიმართულებით ხორციელდება: საზოგადოებრივი ურთიერთობების თეორიული კვლევა და PR ტექნოლოგიების პრაქტიკული კვლევები.

3.2 ლაბორატორიის საშტატო ერთეულებია:

- ლაბორატორიის ხელმძღვანელი;
- უფროსი სპეციალისტი;
- სპეციალისტი;
- სპეციალისტი.

3.3 უფლებამოსილება და ანგარიშვალდებულება:

3.3.1 ლაბორატორიის უფროსი ახორციელებს ყოველდღიური მუშაობის კონტროლს თანამშრომლების მეშვეობით და მუშაობის განვითარების მიზნით ახდენს ფაქტებზე რეაგირებას. ხელმძღვანელობს თანამშრომლების გამართულ მუშაობას, შეთანხმების შედეგად ახორციელებს უნივერსიტეტისა და ლაბორატორიის ინტერესების დაცვით სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობას, ხელს აწერს სერტიფიკატს, აწარმოებს კანონითა და უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრულ სხვა სამუშაოებს. ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიმართ.

3.3.2 ლაბორატორიის უფროსი სპეციალისტი:

ახორციელებს დაკომპლექტებული და პროცესში გაშვებული სამუშაოების კონტროლს თანამშრომლების მეშვეობით და მუშაობის განვითარების მიზნით ახდენს ფაქტებზე რეაგირებას. შეთანხმების შედეგად მონაწილეობას ღებულობს უნივერსიტეტისა და ლაბორატორიის ინტერესების დაცვით, სარეკლამო - საინფორმაციო საქმიანობის დაგეგმვა - განხორვიელებაში.

3.3.3 ლაბორატორიის სპეციალისტი ახორციელებს გეგმით განსაზღვრულ სამუშაოებს და ყოველი კალენდარული თვის შემდეგ აბარებს ლაბორატორიის უფროსს ჩატარებული სამუშაოების შესახებ ანგარიშს.

ლაბორატორიის სამეცნიერო „დარბაზი“:

3.4 „დარბაზი“ წარმოადგენს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დანიშნულების სათათბიროს, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობების (PR) სფეროში ლაბორატორიის თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას წარმართავს.

3.5 მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად, ლაბორატორიის მეცნიერ - თანამშრომლები საქართველოსა და უცხოეთში საზოგადოებრივი ურთიერთობების (PR) სფეროში მიმდინარე ინოვაციური პროცესების შედეგებს განიხილავენ და განახორციელებენ უახლესი სამეცნიერო გამოცემების მომზადებას.

3.6 პერიოდულად, დარბაზი მიიღებს საქართველოს ზოგად საგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა ჯგუფებს, რომელთაც ვიზუალური მასალის ჩვენებით ჩაუტარდებათ პრეზენტაციები; გაიმართება აზრთა ურთიერთგაზიარება.

მუხლი 4. PR - ტექნოლოგიების სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი:

4.1ლაბორატორიის ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილების მქონე პირი.

4.2 ლაბორატორიის ხელმძღვანელს თანამდებობაზე, 4 წლის ვადით - საზოგადოებრივი ურთიერთობების დეპარტამენტის წარდგინებით, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო ირჩევს.

4.3 ლაბორატორიის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობანი:

- ლაბორატორიის ხელმძღვანელი ლაბორატორიის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს დებულების მოთხოვნათა შესაბამისად;
- ლაბორატორიის კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს ხელმძღვანელი დასამტკიცებლად ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს;
- ხელმძღვანელობს და ხელს უწყობს საქართველოსა და უცხოეთის შესაბამისი პროფილის კვლევით დაწესებულებებთან ლაბორატორიის საქმიან ურთიერთობებს ;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით, ლაბორატორიის საშტატო განრიგს.
- ხელმძღვანელობს ლაბორატორიის პერსონალს.

მუხლი 5. PR ტექნოლოგიების სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია:

5.1 ლაბორატორიის გარდაქმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

რექტორი: ა. ფრანგიშვილი

ვიცე-რექტორი: ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი: ი. ლომიძე

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანი: ივ. ჯაგოდნიშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი: ბ. მაისურაძე